



№ 3/CIRC/FSI

12 / თებერვალი / 2019 წ.

გემის მფლობელებს, მენეჯერებს, ოპერატორებს,  
კაპიტანებს, ეკიპაჟის წევრებს, აღიარებულ  
ორგანიზაციებს, ინსპექტორებს,  
საზღვაო გაერთიანებებს;  
ყველა დაინტერესებულ მხარეებს

**შინაარსი: საქართველოს სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავ გემებზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტები**

1. აღნიშნული ცირკულარი ატყობინებს საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული გემების მფლობელებს და კაპიტანებს, რომ 2019 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის N05 ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავ გემებზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების“ დამტკიცების შესახებ, გარდა მე-5 მუხლისა.

ამ სტანდარტების მიზანია საქართველოს სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავ გემებზე სამედიცინო უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური სტანდარტების დანესება და საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ამ სტანდარტების შესრულებაზე კონტროლი ინსპექტირების გზით.

2. ამ წესების მოქმედება ვრცელდება საქართველოს სახელმწიფო დროშის ქვეშ რეგისტრირებული ნებისმიერი მცურავი საშუალებზე, გარდა:

- შიდა ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებებისა;
- სამხედრო ხომალდებისა;
- რეკრეაციული გასართობი არაკონვენციური მცურავი საშუალებებისა, რომლებიც არ არიან კომერციულ საქმიანობაში ჩართულნი;
- ნავსადგურის ტექნიკურ საქმიანობაში ჩართული მცურავი საშუალებებისა.

3. აღნიშნული სტანდარტის მიზნებისათვის გემები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- A კატეგორიის გემი – საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემი ან თევზსაჭერი გემი;
- B კატეგორიის გემი – საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალება და თევზ საჭერი გემი, რომელიც:
  - ახორციელებს ნაოსნობას უახლოესი ნავსადგურიდან 150 საზღვაო მილამდე დაშორებით; ან
  - ახორციელებს ნაოსნობას უახლოესი ნავსადგურიდან 175 საზღვაო მილამდე დაშორებით, თუ მუდმივად იმყოფება საზღვაო სამაშველო ზონაში;
- C კატეგორიის გემი – მცურავი საშუალებები, რომლებიც ახორციელებენ სანაპირო ნაოსნობას ნაპირიდან 12-50 საზღვაო მილამდე ან არ არის საცხოვრებელი უზრუნველყოფილი, გარდა სამტურვალო განყოფილებისა;


4. იმ გემების მფლობელებმა და კაპიტანებმა, რომელზეც ვრცელდება ამ ბრძანების მოთხოვნები, უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, იმისათვის, რომ № 1, № 2 და № 3 დანართებით განსაზღვრული სამედიცინო ნივთი ყოველთვის იყოს გემზე; ასევე უნდა აუზრუნველყონ ბრძანებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ ყურადღება მიიღო დროული ზომები, რათა თავიდან აიცილოთ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

დანართი: 5 (ხუთი) ელექტრონული ფაილი.

- ბრძანება N05 საქართველოს სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავ გემებზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტები;
- დანართი N1 - წამლების მინიმალური რაოდენობა;
- დანართი N2 - აღჭურვილობა;
- დანართი N3 - ანტიდოტები;
- დანართი N4 - ინსპექტირების საკონტროლო სია.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს  
დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად 

თამარ იოსელიანი